გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება № 28
2025 წლის 14 მარტი
ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისთვის“ (ს/ნ 402157330), სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

ა(ა)იპ 'საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის“ 2024 წლის 26 დეკემბრის N 1000395 5 2401375773 და 2025 წლის 17 თებერვლის N 1000395 1 25 00177463 წერილების საფუძველზე დადგა საკითხი, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისში და სოფელ ტირძნისში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართის ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისთვის“ სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით, რადგან 2022 წლის 14 დეკემბერს და 2023 წლის 26 იანვარს გაფორმებულ ორ წლიან უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებებს გაუვიდა მოქმედების ვადა.

„2025 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის №474 დადგენილებით დამტკიცებული პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის“ პროგრამის „სოფლის ექიმი – პირველადი ჯანდაცვის მომსახურება სოფლად“ - ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურეობის განსახორციელებლად განისაზღვრა ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი. აღნიშნული პროგრამის გაგრძელების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის მერს და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნიათ ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს' უსასყიდლოდ სარგებლობაში, უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისში მდებარე უძრავი ქონებიდან (ს/კ 66.42.14.000.202) ნაწილი ფართი, 4 (ოთხი) ოთახი, ფართობი 36,32 კვ.მ. და გორის მუნიციპლაიტეტის სოფელ ტირძნისში მდებარე უძრავი ქონებიდან (ს/კ 66.49.07.363) ნაწილი ფართი, შენობის პირველი სართულიდან 5 (ხუთი) ოთახი, ფართობი 100,00 კვ.მ.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

1.მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით გადასცეს ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს' (ს/ნ 402157330), გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება:

ა) გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისში მდებარე უძრავი ქონება (ს/კ 66.42.14.000.202), შენობის საერთო ფართიდან ნაწილი ფართი, 4 (ოთხი) ოთახი, ფართობი 36,32 კვ.მ.;
ბ) გორის მუნიციპლაიტეტის სოფელ ტირძნისში მდებარე უძრავი ქონება (ს/კ 66.49.07.363), შენობის პირველი სართულიდან 5 (ხუთი) ოთახი, ფართობი 100,00 კვ.მ.

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30)

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე